

ବିଜ୍ଞାନ ପରିଚୟ

ପାତ୍ରପତ୍ର ପରିଚୟ
ବିଜ୍ଞାନ



ମୋହଣଲିଳାତାତଙ୍କୁ

1915

ପାତ୍ରପତ୍ର



ବ୍ୟାକାଳିତାନ୍

ମେଘରାଜ୍ୟ ପାତ୍ର
ପାତ୍ରକାଳିତାନ୍

୧୦୩୦୭୧୯୦ ୦୦-X.

№ 4

୧୯୧୫ ଜାନୁଆରୀ ୧, ୧୯୧୫



† ଶ୍ରୀ ଲତାମୁଖ 1852—1915



୨୭୬

შინაარსი

I—ნიკო ლომიოური—სურათი	1
II—ნიკო ლომიოური,—ად. შირიანაშვილის	3
III—გაწყდა სიმი,—(აკაკის ხსოვნის) ლექსი დ. ელიოზიაშვილის	5
IV—სამი შაური,—ნ. ა. ლ.—ის	12
V—მოლოდინი,—ლექსი—გელაში	15
VI—ბავშვი,—ლექსი — ნ. ჩხიფაძის	17
VII—მწყემსის წერილები,—(შემდეგი) ა. შეკედლაშვილის .	18
VIII—ონაერი ვანო,—დ. თურდოსტიანელის	31
IX—ეს მოთვამი,—ლექსი დ. კ.	41
X—ობლის პატრიონი ღმერთია,—დეთ იმაძის	43
XI—ძმინი ვართ,—პოლონურით, შ. ბერძენის	47
XII—თოვლის ქულა,—თარგმანი ად. შითაძეშვილის	53
XIII—ბრძოლი აღამინისა ბუნებასთან, ივ. როსტომაშვილის .	55
XIV—შემოწირულება	63
XV—გასართობი, გამოსაცნობი, რეპუსი და აღსნა	64



ნიკო ლომიშვილი



ეყარგვა იმისთანა აღაშიანისა, რომელსაც თავის სა-
ცოცხლის საგნად სამშობლოსადმი სამსახური დაუ-
სახავს, რომლის ფიქრი და აზროვნობა შოთა რუ-
თავეს მოძრეთა კეთილდღეობის გარშემო ტა-
ლებს, რომელიც განუწყვეტლივ, დაუღალვად
სთესავს და ფერცხლებს მშობლოდ სათნოებას, მაღლს, რომელ-
საც ჩაგრულის მწერება საკუთარ გულის ტკივილად მიაჩ-
ნია, რომელსაც ყველასთვის მშობლოდ ბედნიერება ემეტება, რომელსაც მთელ თავის სიცოცხლეში ერთი აერ სიტყვაც
კი არ წამოსცდენია, რომლის ლვთაებრივი ქადაგება ქართველ



მოზარდ თაობაში წლითი-წლობამდე შესანიშნავი სიმტკიცით ასაზრდოვებდა და ანაყოფიერებდა ნორჩ სულსა და გრძნობას,—კეშმირიტად მეტად სავალილო, გულსაკლავი და აუნაზღაურებელია.

მეტადრე, ვინც ამ ერთი თვის წინად, ტუილისის სახაზინო თეატრში, აკაკის ხსოვნის დილაზე მისი არა-წევულებრივი, სმენის დამატებობელი ლაპარაკი მოისმინა, დღიოლად წარმოიდგნას, რა დიდი დანაკლისია ქართველობისთვის ნიკო ლომოურის მოულოდნელი სიკვდილი.

უმაღლესად განათლებული, ჩინებულად განვითარებული, კეთილი გულის პატრონი, დაუღალავი მუშავი, ქართული ენის საუცხოვო მუდნე, გლეხის ცხოვრების საუცხოვო სიტყვიერი მხატვარი და ჩვენი ქვეყნის საერთო, საერთო საჭმის მუდმივი გულ-შემატეკიარი, მზრუნველი და მოსარჩევა—აი ჟველა ის თვისებანი, რომელთაც ნიკოს სიცოცხლეშივე მოუპოვეს უმწიკვლო ადამიანის შარავანდელი და ქართველი საზოგადო მოღვაწის სახელი.

ამ მაღალ თვისებებით უხვად დაჯილდოვებულ ნიკოს კიდევ ბევრი, ბევრი თვალსაჩინო უნარის გამოქვნა და საქვეყნო საქმის გაკეთება შეეძლო, მაგრამ ბედმა მის არგუნა მეტად მძიმე, საპასუხისმგებლო სამსახური—შასწავლებლობა, რომლის გარეშე კაცი ძნელად თუ-ლა იპოვის რაიმე თავისუფალ დროს და სულიერ ძალას, ენერგიას. ნიკო კიდევ იმდებით ნუგეშობდა: „მალე სახელმწიფო სამსახურს მივატოვებ და მთლიად სამშობლო ქვეყნის სამსახურს შევუდგებიო“, — მითხრა განსვენებულმა სწორედ ამ ერთი თვის წინად, მაგრამ, როგორც პხედავთ, მართალი უთქვამთ ჩენ წინაპრებს: „კაცი ბჭობს და ღმერთი ცუინისო“.

სოფელში დაბადებულმა ნიკომ თავის სიყმაწვილე გლეხებში გაატარა და უკანასკნელ წუთამდე მათთან კავშირი არ გაუწივეტია: ყოველ ზაფხულობით, როცა ის განთავისუფლდებოდა ხოლმე სამსახურიდან, უკველად ოჯახობით სამშობ-



ლო სოფელ არბოში გაეშურებოდა, სიცდანაც ხშირად მიჰყენება
მახლობელ სოფელებსაც არ აკლებდა თავის ყურადღებას და
დიდის ხალისით ნახულობდა, თუ კი მარჯვე შემთხვევა ამის-
თვის ხელს უწყობდა.

დიდი დაკვირვების ნიკით დღურეილმა ნიკომ სოფელ-
ში მუდმივი ტრიალი უნდაყოფოდ არ ჩაატარა: მან საფუძვ-
ლიანად გაიცნო იყი, დაუახლოედა გლეხს, შეისწავლა და
შეიგნო მისი სული და გული, მისი ზნე-ჩვეულება, მისწრა-
ფებანი, კირ-ვარამი, იარანი და სკედა-სიხარული.

გლეხის ცხოვრების გაცნობამ ნიკოს მისუა დიდი მასა-
ლა, რომელიც ისე ჩინებულად გადაგვიშალა თავის მშენიერ
პატარ-პატარა მოთხრობებში. როგორც ლაპარაკი ჰქონდა
ნიკოს მეტად საამური, ისე მისი მოთხრობების ენაა მხატვ-
რული და მომხიბლავი. ნიკოს საუბარი კაცს მოაგონებდა
მწვანედ აბიბინებულ მდელოზე მორბენალ ნაკადს, რომლის
რაკრაქს გინდა სულ ყური უგდო, რადგან მისი სიმით გატა-
ცებული სმენა ვერ გრძნობს ვერც გაძლომს, ვერც მობეზ-
რებას.

ნიკო ლომიშვილი დაიბადა 1852 წ. ქართლის, გორის
მაზრის, სოფელ არბოში. მამა მისი, იოსები, არბოელი მღვდე-
ლი იყო. პირველი მისწავლებელი ნიკოსი იყო მისივე დედა,
ეფემია, რომელმაც ქართული წერა-კითხვა ასწავლა.

შემდეგ გორის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. იქედან უფროსი ძმის წყალობით ნიკო ტფილისში სასულიერო
სასწავლებელში გადავიდა, სადაც უფროს კლასში გადასვლის
დროს შეიქნა იაკობ გოგებაშვილის მოწაფედ, რომელიც მა-
შინ სასწავლებლის ზედამხედველად იყო. რასაკეირველია,
ნიკიერი და შრომის მოყვარე მოწაფე გოგებაშვილის ყურა-
დღებას არ გამოეპარებოდა და მან დიდი გაელენა იქონია ნი-
კოზედ, არა მარტო სასულიერო სასწავლებელში ყოფნის დროს,
არამედ შემდეგაც. იმ სასწავლებლის გათავების შემდეგ ნი-
კო გადავიდა ოფილისისავე სასულიერო სემინარიაში, სადაც

მასწავლებლებიდან დაზღვდნენ ქართველ საზოგადოებაში საკმაოდ ცნობილი აწ განსვენებული ნიკოლოზ ცხველი და გიორგი იოსელიანი, რომელიც ამ ებად ხაშურის გიმნაზიაში მასწავლებლობს. ბევრი სემინარიის მოწაფე დიდის მოწიწებით, პატივისცემით და სიყვარულით იგონებს ამ ორ ხსენებულ პედაგოგის მაშინდელ მოღვაწეობას და, სხვათა შორის, ჩვენი ნიკოც მუდამ მათი მაქებარი და მაღლიერი იყო. კერძოდ, გიორგი იოსელიანის ლეთიური გაფლენა განიცადა თეთი ამ სტრიქონების დამწერაში, ტფილისის ილექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში სწავლის დროს, როცა პირველი იქ მასწავლებელ-აღმზრდელი მსახურობდა.

სემინარიაში სწავლა ნიკომ 1875 წელს გაათავა და შემდეგ შევიდა კიევის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრო 1881 წ. სამშობლოში დაბრუნებისთანავე მიწვევულ იქმნა სათავად-აზნაურო სკოლის (აზლანდელი გიმნაზია) ინსპექტორად; ხოლო სამი წლის შემდეგ დანიშნეს გორის საოსტატო სემინარიაში ქართული ენის მასწავლებლად. ამ თანამდებობას ნიკო ასრულებდა უკანასკნელ დღემდე.

როგორც სათავად-აზნაურო სკოლის ნამოწაფარი, ავტოე სემინარიის შეგირდები ნიკოს ისეთი სიყვარულით იგონებენ, როგორიც თანამედროვე პირობებში ძნელია ჭხვდება მასწავლებელს. ამხანაგები ხომ პირდაპირ მოჯადოებულნი იყვნენ იმისაგან. გულით კეთილ და ტკბილიად მოსახურე ადამიანზე გლეხები იტყვიან ხოლმე: „პირიდან თაფლი გადმოსდისო“. ნიკოზე ეს სიტყვები სწორედ ზედ-გამოჭრილია. მე ორი წელიწადი ვმსახურობდი მასთან ერთად სათავად-აზნაურო სკოლაში მასწავლებლიდ. მას შემდეგ რამდენიმე ადგილი გამოვიცალე; ბევრი ამხანაგი მყოლია; მაგრამ მნახველი არა ვარ იმისთანა მუყაითის, საჭიანის, მშრომელის, უსაზღვროდ კეთილის, მოწაფეთა მოყვარულის, თავაზიანის, თავდაბალის, უწყინარის და ყველასთვის ერთნაირის იდამიან-პედაგოგისა. არას დროს ნიკო არავის გამოესახუბრებოდა, თუ



არ მოლიმარი სიხით და აღერსიანი სიტყვებით,— ჰითო— აჩვენა
რებოდა, სხვათა შორის, ის იდუმალი, მიმზიდველი ძალა,
რომელიც დიდში და პატარაში, შინაურში და გარეულში
ჰპალავდა მისაღმი უღრმეს პატივისცემის და უანგარო სიყვა-
რულს.

მაგრამ ნიკო იყო კარგად ცნობილი არა მარტო რო-
გორც ჩინებული ჰედავოგი, არამედ უფრო მეტიც როგორც
შესანიშნავი მწერალი— ბელეტრისტი.

ჯერ ისევ სასულიერო სემინარიის მოწაფე იყო, როცა
ნიკომ დაიწყო წერა ლექსებისა და პოემებისა. პირველი მისი
ლექსი დაბეჭდილა 1870—72 წ. წ. ეურნალ „მათობში“. იქვე დაბეჭდილა მისი პოემა „იულონ ბატონიშვილი“. მავ-
რამ ლექსებისთვის მაღა თავი მიუნდებდია და დაუწყია მო-
თხობების წერა, რომელშიაც უპოვია თავის ნიკის ნამდვი-
ლი გზა და მოწოდება. პირველი მოთხობა, რომელმაც თა-
ვის შინაარსით, მხატვრობით, წმინდა ქართულის ენით ივ-
ტორს უცემდებოდა თვალ-ხაზით მწერლის სახელი, იყო
„ალ-“. ამ მოთხობაში საუცხოვოდ არის ოღნიშნული და
დახისიათებული წერნ ხალხში გავრცელებული ერთგვარი ცრუ-
მორწმუნება. შემდევ ამას მოჰყვა არა ნაკლები ლიტების
მოთხობა— „პატარა ქაჯანა“.

ამ მეორე მოთხობის გამოსვლის შემდევ ხომ მოელმა
ჰაშინდელმა ქართველმა საზოგადოებამ ერთხმივ დაიწყო აღ-
რაცებით ლაპარაკი ნიკო ლომიშვილზე თავისი ენით, ფორმით
„ქაჯანა“ დიდა და პატარას ერთნაირად ჰებბლავდა და ატ-
კბობდა. ამას გარდა ნიკომ დასწერა მოთხობები: „ბერუ-
ქრისტესიაშვილი“, „ბედი უბედურთა“, „ყოველის მხრიდან“,
„ქრისტიანი ლექები“, „გიგო ლრუბელაშვილი“, „სამფეხა
ამირანი“ და კიდევ სხვა ბევრი წერილი და მსხვილი წერი-
ლები, რომელებიც სხვა-და-სხვა ეურნალ—განეთებში იყო მო-
თავსებული. მხოლოდ ერთი-ათად ბევრის მოწოდება შეეძლო



ქ. ბ. ა.

სხედან — განსვენებული ნიკო ლომოური და იმისი უმცროსი შვილი ნინო. ზევით სხედან მეუღლე ნიკოსი — სოფია ალექსის ასული, ვაერი იულიანი და უფროსი ქალი თამარი.

განსვენებულ ნიკოს დარჩა მეუღლე, სოფია ალექსის ასული, და სამი შვილი: ორი ქალი და ერთი ვაერი. უფროსმა ქალმა, თამარმა, დაამთავრა პეტროგრადის ქალთა უმაღლესი კურსები და ამ უამაღ მასწავლებელია ქირთულ გიმნაზიაში;




გეორგ ქალი, ნინო, წელს ათავებს იმავე უმაღლეს სიმუშესტყმარება ბეჭედს; ვაჟი, იულიანი, აგრონომია.

დიდი და სამწუხაროა მთელ ქართველობისათვის ასეთი ადა-
მიანის დაკარგვა; მაგრამ სანეტაროა, როცა კაცი სიკედილის
შემდეგ სტოვებს მოძმეთა გულში ასეთ უკვდავ და სათაყვა-
ნებელ სახელს.

17 აპრილს გარდაცვალებული ნიკო დაკრძალეს ამავე
თვის 26 ქ. გორის სამების ეკლესიის ეზოში, საცა, მიუხე-
დებად ცუდი ამინდისა, აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი
ყოველის შერიდან მის ნერის პატივისაცემლად.

ალ. მირიანა შვილი.





გაფყდა სიმი

(ეუძღვნი აკაკის ხსოვნის)



აწყდა სიმი... შესწყდა ბგერა...
მწარედ სტირის არე-მარე;
შეის ძაძებში გაეხვია,
ცა-ლაფუარდი, ტურფა მხარე.

ის თავი დაუხრია,
გარდსა სცვივა ცრემლი მწარე;
მზეს სხივები გაეყინა,
დაპირბადდა ბალრი მოვარე.


უით ტოროლა ძირს დაეშვა,
ვეღარ შესძლო ცაში ფრენა;
იადონმა ხმა შესწყვეიტა,—
დაიღუშა ნაზი ენა.

იალბუზიც მწარედ სტირის,
ცრემლი მოსდის ჩქრიალითა;

ცა თვის წუხილს გამოჰქატავს
ელვითა და გრიალითა!..

ვაი ჩვენს თავს... გაწყდა სიმი...
მწარედ სტირის არე-მარე;
მთლად ძაძებში გაეხვია
ცა-ლაქვარდი ტურფა მხარე!..

დ. ი.





სამი შაური



ემ ცხოვრებაში ბევრი საჩუქარი მიშილია ძეირფასი ღირებულებით, დაუკიტყარი მნიშვნელობით, ზოგი საყვარელ არსებას მოუტია, ზოგი პატივსაცემ პირს; ზოგი მაგონებს ტკბილ ნეტარებას, ზოგი ჭირ-ჯარაშიან დღეს; ზოგი ცრემლ-ნარევი ლიმილით გადმოუციათ, ზოგი კი სიცილისაგან ათროლებულ ხელს შემოუპარებია... ზოგს მამადლიდნენ,—შეხედე შენთვის, თუ რამე მშურსო; ზოგი კი თითქოს მოწყალებას მოხოვდა, წაიღე სამახსოვროთ.

მათ შორის განსაკუთრებული იდგილი უკირავს... სამ შაურს.

სოფლიდან ქალაქში გამომისტუმრეს—სასწავლებელში მიმაბარეს. ყველაფერი მეუცხოვა ქალაქში. მაკვირცებლა, რომ ვერცინ მიცნობდა; მწყინდა, რომ განსაკუთრებულ პატივს მაშინაც კი არ მცემდნენ, როცა გაიგებდნენ, თუ ვინ ვიყავი. არ მაკაცოფილებდა საქმიანი საუბარი. მაკლდა ილერსიანი სიტყვა. სიცხე მაწუხებდა; მტვერი მაწვალებდა. ერთი სოფლისკენ გაქცივა ყველაფერს მერჩია და გულში ხშირად ვიმღერდი:

„ოჲ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო,
მათკენ გაფურინდებოდე!“

ერთ სალიმოს განათებულ მაღაზიის ფანჯარაში გამოსუ-
ნილ სურათებს შეეჩერდი — ნაღელიანად შეეცემეროდი; ერთი
მათგანი ძლიერ მოვეწონა. ყიდვაც არ შეეძლო და... უფ-
რო მოშენატრნენ ჩვენები. ვიცოდი, რომ რომელიმე ჩვენგა-
ნი აქ ყოფილიყო, რამეს მაინც მიყიდდა და მაჩუქებდა.

უეპრად მხარზე ვიღამაც ხელი დამადვა.

მოვიხდე.

ჩვენი სოფლელი მღვდელი!

შიამა!

— როგორ არიან ჩვენები? — დავეკითხე საჩქაროდ მამა
იორდანეს.

— კარგად ბრძანდებიან... შენ როგორა ხარ?

— ასე... გვარიანად.

— არ მოგწყინდა სწავლა? — გამეხუმრა მღვდელი.

— არა, — მოვიცრუე შე. — არათერი დაუბარებიათ?

— დედამ შემოგითვალია, კარგად ისწავლე: მალე ჩამო-
ვალ, და არ მოიწყინოთ.

— ხილი არათერი გამოუტანებიათ?

— ჩემთების არა! მაგრამ ამ დილას ბიჭს გამოატანეს, და
ჯერ არ მივიღიამ!

შე უკვე გაქცევას ვაპირებდი, რომ ჩვენებური უელა-
შეზი შევემნა.

— მოიცა, მოიცა! — შემაწერა მღვდელმა და გადიწია
ანათორა.

კაბის ჯიბიდან ამოილო დიდი, გალაქიანებული ქისა,
უხერხულად გახსნა, დიდ ხანს ეძება და როგორც იქნა სამ-
შაურიანი ამოილო.

შემღვდელს შეეჩერებოდი. კარგად არ ვიცოდი, ვერძნობ-
დი კი, რისთვისაც ამოილო და გამომიწოდა უანგიანი სამ-

შაურიანი, შაგრამ არ მინდოდა შემეტნევინებინა, მაგრამ შევე-
ხედი.

— წილე, ხილი იყოდე! — ღიმილით მითხრა მღვდელმა.

— არა! არ მინდა...

— რატომ? რათ გრძევენია.

— ფულს საჩქრად არ ვლებულობ! — მოკლედ მოუკერი
ჰატივსაცემ მღვდელს.

ეს წინადაღება ოდესალაც ჩემი უფროსი ძმისაგან გამე-
გონა და მოხარული ვიყავი, რომ ეისარგებლე.

დღეს მართლის თქმა სჯობია; მაშინ კარგად არც კი ვი-
ცოდი, რას ნიშნავდა ჩემი აშაყი სიტყვები.

— უკაცრავად, უკაცრავად! — მოხუცი მღვდელი დაიბნა
და ვით-ვაგლაბით ამოლებული ცერცხლის ფული საჩქროდ
სადღაც გაიქრო. -- ნახვიმდის! — გამომემშვიდობა მღვდელი და
ხელი გამომიწიო.

ქართული ანდაზა — „შინაურ მღვდელს შენდობა არ
აქვსო“ — სწორედ ჩენ მღვდელზე მართლდებოდა. ჩენს
ოჯახში ჩვეულებრივ ხელზე მას არაენ ჰკოცნიდა, ახლა
რაღამაც წამხლია და ჰატივისცემით, სიყვარულით ხელზე
ვემთხვეო.

მთელ ქალაქში ამ ერთ არსებას სურდა ჩემთვის ესია-
მოვნებინა შეძლებისა დაგვარად, და მე ვერ მიუხვდი.

ჩემი ხელზე კოცნა შეუგნებელი ბოდიში იყო.

-- დაგლოცას უფალშა! — სიყვარულით მითხრა მღვდელ-
მა და მხარზე ხელი დამკრა.

6. ლ.



მოლოდინი



ანთიადის
ტურქუ დროშა
ლამაზ ფრთებით
შეიმოსა!

დილის წალკოტს,—
გაშლილ ვარდებს,
ტრფობის სხივი
ავერადებს;

ტოკავს ცვარი
სამურაი,
ყვავილო ფრთებზე
დანაპერა!

და ჩიტუნა
ფრთებს შლის, ხარობს,—
დღეს უცინის,
დღეს უგალობს!..



მოდით, მოდით,
ერთად წავალთ;
ერთად ვივლოთ,
მინდერად გავალო!

იქ ყვავილებს,
მინდერის შვილებს,
დაცკრევით ქორფად
გადაშლილებს;




ეროვნული
სიმუზიუმი

დღის თაიგულს,
ლხენით შეკრულს,
მზეს მიუძღვნით,
გაბრწყინვებულს.

და ვიმღერებთ:—
ფრთებ-მოძრაობული,
მოჰქმის ტურფა
გაზაფხული!...

გელა



გავშვს


ვუძღვნი აუკუ ძიძიშვილს


ატარა მარგალიტო, სხივთ მომავალისა,
სიცოცხლისა ყველილო და სიამევ თვალისა,
ესტკბები შენის ცქერითა, ვლალობ აღმა ფრენითა,
მაგრამ როგორ შევამჟო ამ უსუსურ ენითა?

შენში სპეტაკი სული სხივიერ კრთის, ციმციმებს,
ჰელობს ჰელძნობს ბულბული, გაზაფხული ბიბინებს;
შენ ხარ ყოფნის იმედი ტანჯვის ზღვაზე შობილი,
და სიამე ციური, სიყვარულით წრთობილი!..

მაშ სად შენ და სადა მე, სხივთ მომავალისა?
— მე ცხოვრებამ მომლალა, შენ შეება ხარ თვალისა;
შენ მომავალ ყოფნაში სუფევ აღმა ფრენითა,
და მე-კი, მე აწმუოზე ემღერ უსუსურ ენითა!

6. ჩხილაძე.





მუზემსის შერილები

შერილი მიხური

დღვება.



უტყდი ამხანაგებს, ჩქარა შევდლა—
ბოთ ეს მოქუჩებული მაწონი, რაცა
გვაქას, და გომებზე ჩაეიდეთ-მეთქი.
გასკრა ჩემმა უინიანობამ და დაიბა-
რეს სოფლიდან დედა-კაცები.

რაღვანაც ამ დღეს ბევრი კარაქი და ერბო გვექნებოდა.
დილა-ადრიანად ვეიღე თოფი და გავწიე მუხიან ლელისაკენ
კურდლენების დასახოცად. არც კი ჩავდი მუხიან ლელემდე,
რომ ორი კურდლელი მოვკალი. საცოდავებს ისეთი გამომე-
ტყველება ჰქონდათ, თითქმ მეუბნებოდნენ:—რა ჩევნი ბრა-
ლია, რომ დღეს თქვენ ბევრი კარაქი და ერბო გექნებათო.
მე უთხარი მწყებებს: ულმობელია ადამიანი—მეთქი.

ბინაზე რო მოვედი, ყველაფერი გამზადებული ღმევდა:
დედაკაცები ჩამოსულიყვნენ, ვირებით წყალი მოეტანათ,
მოსალულებლად დიდი ქვაბები ჩამოეტანათ და სადლევებელიც
ჩამოებათ. ის-ის იყო მაწონს ისხამდნენ სადლევებელში, რომ
მივესალომე:

— ღმერთმა კეთილ ინებოს თქვენი ჩამობრძანება.

მხიარულად გავატარეთ დრო. ეს დღვება დღესასწაულსა ჰგავდა.

გათავდა დღვება. დოქტორ მოადულეს, ტომრებში ჩაასხეს, გაწურეს, ვირებს აპეიდეს და შენ წაილეს კარაქიც ერბოდ გადაადნეს და თავიდან მოგვაშორეს. ჩაც გომებზე არ გამოგვადგებოდა, სოფელში გავატანეთ; ხოლო დანარჩენი ბარგი-ბარხანა სულ მოლად ურქმზე დაუდევთ და პატარა ბიჭს გომებზე გავატანეთ; იქ დაბინავებენ, კიდრე ჩავალოთ.

ძროხები გავანთავისუფლეთ წველისაგინ, ხბორები გაუშეით და ბინა მოვშალეთ. ორ კვირას უბინაოდ მივატარ-მოვატარებთ მინდვრებში ძროხასა და მერმე ჩავალოთ გომებზე. ახლა ჩვენ ამ ორი კვირის განმავლობაში უბინაოდ მოგვიხდება ცის ქვეშ ყოფნა. სადაც დაგვიღამდება, იქ გავათენებთ. აქამდე მაწონი, რძე, კარაქი და ერბო ბევრი გვქონდა; ამ ორ კვირაში კი იქნება ზოგჯერ ცარიელი პურიც აღარა გვექნდეს, მაგრამ მაინც მიხარიან, რადგანაც შემდეგ გომებში ვიქნებით და ცველაფერი გულუხვად გვექნება. იქ შვილი თვე უნდა გავატაროთ.

გომებზე ჩასვლა მიხარიან კიდევ უფრო იმისთვის, რომ იქ სხვა მწყემსებიც იქნებიან და ჩემი საზოგადოება უფრო გაფართოვდება.

ზორილი მიმავა

შემოდგომა.

ნუ დამძრახავ, რომ შემოდგომამ თავისი გავლენა მოახდენა და ნალვლიანი ლექსი დავწერე. ნურც ლექსს დამიწუნებ, რადგანაც პოეტი არა ვარ და ისე მხოლოდ, ვიეშმაკე.

შემოდგომის შერთალი მხე,
ვით სნეული ქალი-მჩე,

ასევენია ცის კიდურს,
თეთრ ლრუბლების ბალიშზე;
დარღიანობს წარსულზე,
შეუმინ ევლად განვლილზე.

აბლიაბულა დაფრინავს,
ხან ქრება და ხან ბრწყინავს;
შეპჰარება ნალველი,
სიოს, სიამით მფრინავს,—
და ფერ-მიხლილ მდელოსაც
მწუხარებით სთვლებს, სძინავს.

ჩუ! გრიგალმა დაპშერა,
ცის გულმკერდი დასერა;
ტყეს გაჭხადა ქათიბი,
ველი გააცამტვერა;
გაასევნა ზაფხული,—
ზამთარს ჯვარი დასწერა!..

სულ კარგა ვერ ავწერე შემოდგომა. უფრო მოწყენილია არემარე, ვიღრე ლექშია ნათქვამი. ძეველი ბილიკები და საურმე გზები ცყითელი ფოთლებით არის დაფარული. ჭილაში ეტყობა—კარგა ხანია ადამიანის ფეხი აღარ მიჰკარებია; ვიღაც მწყემსს ჯოხი მოუკრია ტყეში, გამოუტანია და გზაზე გაუსხებია; მისი ნასხევები გზაზე ჰყრია:—ესლაა მხოლოდ ადამიანის ნაკვალევი.

ტყეში სიირულის დროს ხშირად მხედება ტურა, შელა, გარეული კატა და მგელი. რაკი მისწყდა ადამიანის ხმა, გამოშეძერალიან სიიროებიდან და დასუნისულებენ საზრდოს სამოვნელად. ბილიკებზე ძეველი კვალი წილილია წვიმებისა-გან; ხშირადა ვხედები მხოლოდ მგლისა და სხვა მხეცების ნა-ფეხურებს.



ტუქ სულ-მთლიად გაუხდია ტანისამოსი. ხეებს ტიტოველი მელავები ისე აღუპყრიათ ცისაკენ, თითქო ეუბნებოდნენ შემოქმედს,—რა დაგიშავეთ ასეთი უბედურებისათვისო. მხოლოდ მუხებს-და შეტენიათ გამნმარი ფოთლები, რომელიც გასცვიათ იხალ ფოთლების ამოტანის შემდეგ.

სალამ-სალამობით ქარი დაუბერავს ხოლმე და ტუის გაშიშვლებულ ტოტებში უსტვენს; ხოლო გაყვითლებულ ფოთლებსა ჰგევის და დააფრიალებს თაშაშით ჰაერზი.

ამდა მათი ბედი ქარის ხელშია: ხოთაც უნდა-იქით წაიღებს, ვიდრე არ დაკრძალავს თოვლი. ღამ-ღამეობით მხოლოდ ქარი ღმუის ტყე-მინდორ-ველზე და ზოგჯერ მოისმის ხოლმე მშიერი მგლის ყეფა, ტურების წევ-წევი და კატუნიების ღნავილი. ლომისია და ალაშის მათ ხმაზე აურ-ზაური გააქვთ. ღამე სრულებით არა სძინავთ.

ამდა გომებში ვართ და სიცივისა აღარ მეშინია. ირგვლივ ქალი გვაჩრუია; შეშა ბეკრი გვაქეს და გომებიც მაგარია: ვერც წყალი ჩამოატანს, ვერც ქარი. იქ სხვა მეზობელი მწყებსებიც არიან. დროს მხიარულად ვატარებთ. დილით საქონელს ვალაში გავრეუთ, გომებს დავასუფთავებთ. სალამის ბზეს დაუყრით და შემდეგ მეტი საქმე აღარა გვაქეს-რა. სული მის ზრუნვაში ვართ, თუ რით შევიქციოთ თავი.

სალამობით შევიკრიბებით ჩეენს ბინაზე, ან ჩეენი მეზობლის ბინაზე, და ვლაპარაკობთ აქეთურზე—იქათურზე. ერთი ჩეენთაგანი დაიწყებს თავის სასაცილო თავვადისავილს, და როცა სასაცილო მშები მოგვეწყინდება, გაღავალთ დარბაისლურ საკითხზე. მეკითხებიან, თუ მზე როგორ ამოდის, როგორ ჩადის; როგორ მოდის გაზაფხული, ზოფხული, შემოდგომა და ზამთარი; როგორ ბრუნავს წუთისოფელი და სხვა. როცა შეძლებისა დაგვარად აუხსნი, დავაქმაყოფილებ მათ ცნობის-ზოფერების, ყველანი დაუიქრდებიან და სიჩუმე დაისა-დგურებს ხოლმე. შემდეგ რომელიმე მათგანი იტუვის სასაცილო



ზღაპარს და ისევ გამხიარულდებიან. ბოლოს ორშესულებული ჩებიან შეირში ერთმანეთს და, როცა დაატყობს ერთი მოშაორეთაგანი—ვმარტხდებიო, ჩონგურს წამოვლებს ხელს და სიმღერას დაიწყებს, რომ ჩააფუჩქმოს: ვითომ და არაფურიაო. შემდეგ მოჟყვებიან ჩონგურზე გმირულ ლექსების თქმის. ჩონგურიც მოსწყინდებათ, და ახლა დაიწყებენ სხვა-და-სხვა კახურს, ძეველ სიმღერებს. ამისობაში მოატანს შუალაშეც; ვინმე წამოიძახებს: „ყვავი თავის ბუდეშიო,“ და დაიშლებიან.

არის ხოლმე ხშირად ასეთი შემთხვევები: შეიკრიბებიან ჩემთან ბინაში და მე უკითხავ ხოლმე წიგნს. ხშირად წამიკითხნია მათთვის ყაზბეგის მოთხრობები და თითქმის ყველა მოთხრობის შინაარსი ზედმიწვევნით იყიან. ისე ხარბად შემოტკერიან ხოლმე პირში კითხვის დროს, თითქო წამყითხველის წიგნიანად გადაყლაპვა უნდათო.

წაუკითხე ყაზბეგის ავტო-ბიოგრაფია, საკუთარი ცხოვრების იწერა, და ბიოგრაფიაც უამბე.

— ცხონებული, ძალიან კარგი კაცი ყოფილია, — მითხრეს მსმენელებბა.

დიღი ყურადღება და პატივისცემა დაეიმსახურე მწყემსებში. ძალიან შეუუკარდი, და მეც ძალიან შემიყვარდნენ.

ისე შევეჩერი მწყემსებს, რომ ერთ წუთსაც არ შემიღლიან უიმათოდ ყოფნა. თითქმის მავიწყდება ჩემი ძევლი მეგობრები და ახალ ბუდეს ვიკეთებ. ფიროს გულწრფელი და აღერსიანი „გენაცვალე, იოსებ!“—მილიონებად მილირს და ზალიკოს ტკბილი „შეილო, იოსებ!“—მთელ მსოფლიოდ.

აი, ყველაფერი დაბინავებულია. ლომიდა ძალლი წინ მოვიდა, როგორც წინამძღოლი, და ამით გვაცნობა,—ძროხა მოდისო. ძალლებსაც ვგზავნით ხოლმე ძროხაში; ერთი წინ მიუძღვის, და მეორე უკან მისდევს ხოლმე. როცა შაქროსა ჰყითხავენ, ვინ არის დღეს ძროხაშიო,—ორი ვაეკაციო,— მიუგებს ხოლმე. დღესაც ორი ვაეკაცი იყო ძროხაში და საკონელი უკლებლად მორეკეს. ბერვიც არ დაჰკლებია.

ამაღამისთვის ლობითა ეხირშივთ და გოგრების კუკუჭულები
შესაწვავი. ხშირად კურდლელი გვაქვს ხოლმე, ზოგრამ მოსა-
წყენია ერთი და იგივე.

რიჩილი მიჟვილი

ზამთარი.

ერთი კვირა მეტია, ზეავი ჩამოწევა. სულ თეორიად არის
გადალესილი მოელი ქვეყნიერება. ღრუბლებიც ისევ დედა-
შიწაზე იწყება. გომების ახლო-მახლო ჩხვეილით ირევიან ყვა-
ვები და კილუვავები. ბელურა ჩიტები სათივეს არ შორდე-
ბიან და ხშირად იწევენ გომში, სილდანც სითბოსავან რჩოქ-
ლი გამოდის. საქონელი კაღაში აღარ დაგვიდის, მხოლოდ
დღეს გავრცელეთ ბინების ცოტა მოშორებით, ვერხვებისაკენ;
თოვლი გადაუხვეტეთ და ქვეშ შენახული ზამთრის მწვანე
მოვაძოვეთ. ცხენებს კიდევ ვერხვები დაუკაფეთ, რომელთა
ტოტებსაც დაბეჯითებითა ჰქერქავდნენ. ისეთი დიდი თოვლი
დევს, რომ ჩემმა მმამ არი კურდლელი დაიჭირა ხელით.

გამოდარებას არ აპირებს: ისევ მოიღრუბლა. ზევიდან
თოვლის პეპელები მაფრინავენ და დედა-შიწას ეფინებიან. ზეავს
სიმაღლე ემატება.

ჩენ მეზობელ მეტვარეს ცხვარი ეხოცება, რადგან ზამ-
თრის საქმელი არა აქვს და თოვლიც ვერ გადაუხვეტია, რომ
თოვლის ქვეშ მოვაძოვოს. მარტო-ხელა ბიჭია, და არ ქნას
ზარტოშ: ცხვარს კარგი მოვლა უნდა. მეტად ნაზია და მგრძ-
ნობიარე. ცოტა სიცივეს, ან სიცხეს ვერ გადაიტანს ხოლმე.
დღეს უთხარი ფიროსა და შაქროს, უშველოთ ჩენ მეზობელს
და თოვლი გადაუხვეტოთ ცხვარსა—მეთქი. ზალიკომ გავვა-
მხნევა და ერთ წუთის ერთი ხოდაბუნის ტოლი იდგილს გა-
დავაცალეთ თოვლის ყდა.

ტყუილია ლორისთანა! რაც უნდა თოვლი იყოს და
ციოდეს, მანც ჩიჩქნის და შოულომს საზრდოს. ძროხასა,



სიმაგრე და განვითარება

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი

კაშეჩისა და უფრო ცხვარსა მეტი ლოლიაობა და ფერობა უზღა, თორემ ცოტა რამეზე წაიჩინებს და კუდით საწევი გახდება.

ზამთარი გომებზე.—რომ ვისმე შეეძლოს ამის წარმოდგენა, შეეძლიან ისიც წარმოიდგინოს, თუ როგორ ცხოვრობდა პირველი ოჯახი დედა-მიწაზე. ყველაფერს მოწყვეტილები ვართ. სოფლიდან ზვავების გამო ვერავინ ჩამოდის; აქედანაც ამ მიხეზების გამო ვერავინ მიდის სოფლად. განუწყვეტილი ჯანლების გამო ილარას ფერი ჩანს ჩვენს ირგვლივ და ასე მცონია მთელ ქვეყნის ფერაზე ჩვენს მეტი აღარავინა ცხოვრობს მეთქი. აი, უბრძან ჩამრჩენია ძველი გაზეთი, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქო ნოეს კიდობნიდან გამოსვლის შემდეგ მეპოეოს რაიმე ძველი ქვეყნის ნაშთი. ვეუბნები ჩემ ამანაგებს, რას ატყობთ—დილხანს იქნება ასეთი ამინდი—მეთქი, და მეუბნებიან: ჯერ ზამთარი არც კი დაწყებულა. მეც ველი უფრო დიდ ზვავებს.

ლამ-ლამობით პირ-მოკუმული სიწყნისაგა. მხოლოდ გაისმის დამის წყვდიადში ძალლების განუწყვეტილი დაედავი. ნადირი ძალიან იწევს. მართალია—თოფს დაცულით ხოლმე, მაგრამ არ გვეპუება, რადგანაც ზამთარია, ვერაფერსა შოულობს საჭმელს და შიშმილი ახელებს. გუშინწინ ლამ სათვალიდან ჩავარდნილიყო მგელი მეცხვარის ფარებში, ცხვარი ბევრი გაეწყვიტა და მალლა ველარ ასულიყო. ბიქებმა შიგ მოიმწყვდიეს და მოკლეს.

საერთოდ ბინებში მზიარულება არის, რადგან შობა-ახალწელიწადი მოახლოვებულია. დიდი ზეიმით ვაპირებთ შეხვედრას.

ზენილი მისამართი

ქურდები.

ჩეენი ბინიდან შეიცი ერთსის მანძილზე, კალის ბოლოში და იორის გალმა—თათრების სოფელია, რომელსაც მულალოს

ეძახიან. ხალხის თქმით ეს თათრები შეპ-აბაზის ჰუმანიტარული გადმოსახლებულნისაქართველოში. ამ თათრების ერთად ერთი უმთავრესი და საქებარი ხელობა—ქურდობა და ყაჩალობაა. ვინც ქურდობის დროს მოჰკლავს ვისმე—სასახელოდ მიაჩნია და უოჩალს ეძახიან. ამ თათრებშია ქართული კარგად იციან, ხოლო თავიათ სახლში სულ თათრულად ლაპარაკობენ.

ზამთრობით ისინი სოფ. მულალოში არიან, ხოლო მაი-სიღან აიყრებიან ხოლმე და თავიათი ცოლშეილით, ბარგი-ბარხანიანად მიღიან მთებში: ზოგი თრიალეთისკენ და ზოგიც ციფ-გომბორისაკენ. პურს მეტად ცოტასა სთესენ. მთიდან დაბრუნების შემდეგ მყიან და ლეწავენ. მთიდან ბრუნდებიან მარიამბისთვის ნახევარში.

თუ რამე ქურდობი და ავაზაკობა მოხდება ჩვენს მარები, უცემელად ამ თათრებს უდევთ ხოლმე შიგ წილი.

ერთი ავაზაკობა მოხდა მათი წყალობით ამას წინად. შუა-ღამე გადასული არ იყო, როდესაც ძალლებმა ყეფა ასტეხეს. ყეფას ეტყობოდა, ნადირი არ იყო. რამდენჯერმე უთხრა ზალიკოშ შექროს: „ადე, შვილო, გაიხედე—რასა ჰყენ ძალლები“ო. შექრომ დაიზარა და სთქეა: „ეგ ძალლები სულ ეგრე ჰყენ და რომელი ერთხელ გავიდე გარედა“-ო.

ბოლოს და ბოლოს ცოტ-ცოტად მისწყდა ძალლების ხმა. ვსთქვით: „უცემელად ნადირი იყო და დაფრთხა“-ო. მაგრამ ქურდები ყოფილიყვნენ. ჩვენ ძალლებს რომ ვერ მოუვიდნენ, თავი გავვანებეს და სხვა ბინაზე სცადეს. ჩვენს მეზობელს ვერა ჰყავს ფხიზელი ძალლები და ამიტომ იქით ხმაურობა არ ისმოდა ძალლებისა.

ჩვენ პირველად ვერ მოვედით გუმანსა, მაგრამ უეპრად შემოგვესმა თოფის ხმა. ვიფიქრეთ: ძალლები არ ყეფდნენ, და თოფი რისთვის გავარდაო? მაგრამ კიდევ გავარდა თოფი... მერე კადევ გავარდა თოფი, და ჩვენც გავცვიდით გარედ. სანამ ჩვენ გავიდოდით, ორჯელ კიდე გავარდა თოფი. ძალლებმა



შემდეგ დაიწყეს ყეფა. მე წინ მიერბოდი, მაგრამ ტექნიკური და შექრომ შემაჩინევს: ყაჩაღები არიან; იქ დადექი,—არ მოგვ-ლანო. დამარიგეს კიდეც: შენ სათივეში ჩასაჭრდი და თვალ-ყური აღვენე, თუ ჩეენც სროლა იგვიტეხონ, მოხერხებულად მოგვეწველეთ.

ხმაურობა მოგვესმა სადაც თოფს ისროდნენ. ჩეენი მე-ზობლის ხმა მეტნო. იგი ხშირად იმეორებდა—„მომკედარაო“—. ცოტა ხანს შემდეგ შექროსი და ფიროს ხმაც გავიგვე. ყველა გომებიდან გამოცვიდნენ და ერთი ყაყანებდნენ ბიჭები. დაერწმუნდი— საშიში აღარა იყო-ა, და მეც გავიქეცი.

ზალიკა ბანზე ავრცა და დაიძახა—რა ამბავიათ, მაგრამ ხმა არაენი მისცა. მე მივედი და შემდეგი შეეიტყე: სამი თა-თარი შიპარულიყო ჩეენი მეზობლის ფარებთან. ორი მაღლა ყარაულად დამდგარიყო და ერთი კიდევ სათვალიდან ფარებ-ში ჩამდგრადიყო, საიდანაც ცხვრებს აწვდიდა თაეის ამთა-ნაგებს. ეს გაეგო მეცხვარეს, დაევლო თოფისთვის ხელი, გამოვარდნილიყო გარედ, ფარების კარები გარედან მაგრა გადაეკეტნა, ფარებში მყოფმა თათარშა უკანიდან არ მოშია-როსო და სათვალესთან მდგომ ქურდებისთვის სროლა იეტებნა; ერთი მოეკელა, მეორე გაქცეულიყო, ხოლო მესამე ფარებში მოეწყვდია, რომლისთვისაც მოეთხოვა: თოფი, ხანჯალი და სხვარიალი სათვალიდან მოყარე მაღლა და დამნებდი, თორემ მოგკლავო. თათარი დამორჩილებოდა, და ჩეენც მივეჯით. მეცხვარისთვის ქურდებსაც ესროლათ სამჯერ, მაგრამ უკნებ-ლად გადარჩენილიყო.

ტყვეს ხელები შეუკარით და ცეცხლთან დაესვით, ხოლო მოკლულს ნიბიდი გადავათარეთ და ხელუბლებლად დაეტო-ვეთ. მეცხვარე შიშმა თიტანი და შითხრა, რა პასუხი მივცე ეხლა ღმერთს, კაცი რომ მოვკალიო. მე ვანუგეშე: ხომ არ გინდოდა მოკლა და უნებურ ცოდვას ღმერთიც უეგინდობს—



შეთქი. უთხარ აგრეოვე, მიცვალებულისათვის ხელიზე არა და ეხლო და რომელიმე ბიჭი წისულიყო ბოქაულისათვის შესა-ტყობინებლად

ბოქაული ჩემი ნაცნობი იყო და ქართულად ნაწერი ბარათიც გაღვზავნებ.

ტყვეს გამოვყოთხე: რისთვისა ქურდობთ? განა არ შე-ვიძლიათ საკუთარის შრომით პატიოსნად იქნოვროთ-შეთქი, და მომიგო.

— რა ვქნა, შენი ჯირიმე, პური არა გაქ, ფული არა გაქ, მეტი რა გააქეთო: ზახვალ, მოიპარამ და ჯამი.

— მეტმე, ახლა, რომ ციხეში ამოგიყოფენ თავსა?

— ეს უფრო კარგი, შენი ჯირიმე: პური ხომ ჯამა.

— შენი ამხანაგი რომ მოკლეს? იქნებ შენც მოკალით?

— უფრო კარგი, შენი ჯირიმე: აღარც სიმბირი, აღაც სიხე, აღარც პური, აღარც ჯამა... ისე უფრო კარგი; ღმერ-ომანი,—კარგი...

გავინებე თავი.

ბიჭი უხენით წისულიყო და ბოქაული მალე მოიყვანა თავისი სტრანიკებით. ერთმანეთს მიეცილმეთ და მერე საჭ-მის გამოიიბას შეუდგა. მე თვითონ უამბე ყველაფერი და შემდეგ მკედარი ინახულა. ბოლოს წავიყვანეთ გომში, უჩვე-ნეთ ტყვეც. ბოქაულმა შეცხვარეს შხარზე ხელი დაარტყა და უთხრა: „ყოჩან, ამითგან არის ქვეყანა ამოგდებულიო“. მიი-წიო კიდეც საცემრად დატყვევებულ თათარზე, მაგრამ ვთხო-ვე:—თუ ჩემი პატივის უმი გაქვთ, ნუ სცემთ-შეთქი. ტყვე წაიყვანეს და მოკლულის გამი მულალოში გაგზავნეს ექიმის შემოწმების შემდეგ.

მეცხვარე კი სულ ნანობს, კაცი მოკალიო; ნეტა ჩქა-რი დადგეს დიდშიარზე: ცოდვა მოვინანიო, ვეზიაროვ. ეს სურათი მეტად საზარელი იყო. დღე და ღამე ვუიქრობ, და არა აქეს დასასრული ფიქრებს. ნეტა როდის იქნება ხალ-



ხი ისეთი განათლებული იყოს, რომ ისეთი სიჩეტე ჰქონდა ხდებოდეს. მაგრამ ამისათვის სწავლაა საჭირო, სწავლა, ჩემთვის მეცნიერება.

ზერილი მიმხრი

შობა-ახალწელიშვილი.

შობის წინა ღამეს შეყრილიყვნენ ყველა გომებიდან ჯერ ლი ბიჭები და „ალილოს“ ამბობდნენ ყველას პინაზე. ბოლოს ჩემთანაცა თქვეს „ალილო.“ შემოვიპიტოვე შინა და კიდევ გავაძეორებინე. მერმე, რაკი იღიასად იყვნენ წასასელელები, ლობით შექამაღით გაუმისაპინძლდი; შემდეგ სხვა-და-სხვა სიმღერები სთქვეს. ბოლოს, „ცანგალა გოგონა“ იმღერეს, თითო-თითოთოც ითამაშეს და დაიშალნენ.

შეორე დღეს შობა იყო. ყველა აღტაცებით ეგებებოდა ამ დღესასწაულს. ჩვენი დიდი მთავარი ზალიკა იყო და მისგან მოფისმინეთ დიდი წირვა-ლოცვა, რომელიც შესდგებოდა შეტად უბრალო და სადა სიტყვებისაგან: „უფალმა ლმერთმა დაგასწროთ მრავალ ამ დროს ბეჭნიერად და ჯან-მრთელად; მფარველად გუანდეთ მამა ლვისა და წინ მიგიძლოდეთ ნათელი სახარებისა; გულო ნუ დაგაკლოთ მამა გამჩენმა—ცხვარზე, ძროხაზე, შინაურზე და გარეულზეო.

გადაგვეხვია, ყველას გვეამბორა; შემდეგ მოგვიტანა სახ-სილო, „მამაო ჩვენო“ სთქვა და შეუდექით საუზმეს.

ეს მხოლოდ გახსნილება იყო. საერთო დროს გატარებისთვის-კი სხვა გვეკონდა მომზადებული. ბევრი გვეკონდა შინიდან ჩამოტანილი ლვინო, ქამები, ინდოურები და ჩვენი ნანადირევი კურდლლებიც.

როცა ყველამ დააბინავა საქონელი და თავის პინაზე პირი გაიხსნილა, დაიწყეს სიარული ერთმანეთში. ასეთი წესია: ყველა ბინიდან თითო კაცი გავა ყველა ბინები მისალოცად;



როდესაც ეს გაგზავნილი კაცები მოივლიან უცხოურებულების ურთისესობის შესრულებისას; ერთმანეთს დალოცავენ, შეუერთდებიან ერთმანეთს, ორივენი გაიწევენ მესამე მეზობელთან. ბოლოს უცხო ბინის მწყემსები ერთად შეიყრებიან და ერთ რომელსამე დიდ ბინას აირჩივენ, საღაც ხალვათად იქნებიან. უცხოანი ამ ბინაში მოიტანენ თავიანთ ხარჯსა და ერთად ძმურსა და გემრიელ სადილსა სჭამენ. სადილის დროს იტყვიან სხვა-და-სხვა სადლე-გრძელოვებს და თავიანთ აზრს ერთმანეთს გაუზიარებენ.

შევიტობენით ჩვენ ბინაში, რადგანაც ჩვენი ბინა უფრო ფართო და მოწყობილია. მგზავრულით მივედით ბინასთან. რომ მივედით, რამდენიმე თოფიც დასკალეს და სოქვეს: „ბი-ჭებო, დაგეცალოთ მტრი, რაგორც ეს თოფი დაიცალაო“. გომის კარებთან შემოსძახეს სიმღერა, რომელსაც ჩვენ ჩა-რულის ვეძახით: „მოხუცი კარსა გააღებს, შინ კარგა დაგვე-დებიანო“.

შემოვიდნენ ბინაში. ჩვენც უცხოანი შევედით. ბევრი იმღერეს, ითამაშეს, იმხიარულეს, ილაპარაკეს, იშაირეს და ბოლოს დავსხედით სადილად. თამადათ ზალიკო ამოირჩიეს და მაშინვე სოხოვეს დიღმელაანთ ჯაშარატისთვის სამ ყანწევე მეტი ლვინო არ დაელვეინებინა, რადგანაც სიმთვრალეში ჭირვეულობა იცის და უცხლაფერს არევ-დარევსო.

ის გაჩუმებული იყო და ვერას ამბობდა, რადგან თითონ-ვი გრძნობდა ბუნებით თანდაყოლილ ნაკლს.

ზალიკომ ახსენა ღმერთი, ქრისტიანი საქართველო და შეუდგა სიდლეგრძელოვებს, რომელთა თქმის დროს შუბლზე და თვალებზე თითქო რაღაც ლვთაებრივი შუქი ეფინებოდა. მისი თეთრი თმა, მამობრივი, ტკბილი ალერსი და აზრიანი, სურათებით მოქარგული, ქართული ლაპარაკი, ყველას იმორ-ჩილებდა. როცა ის ლაპარაკობდა, არავის შეეძლო გაეჩუნა-ნა, ან ხმა ამოელო, ამოესუნთქა.

რასაკვირველია — მწყემსებიც იდამიანები არიან და ერთ-მანეთში ცოდო მიუძლვით. ბევრჯელ ერთმანეთისათვის შე-

უგინებიათ, ჯოხითაც მიუწევით, ერთმანეთზე, პიჟაში ყებები
მხოლოდ წუთის უგუნურება ყოფილა. სპეციალისტები
არიან. ასეთი წუთიერი ცოდეა უკელას ძექს და, როდესაც
ზალიკა დაათავებდა ხოლმე რომელიმე მწყემსის საღლეგრ-
ძელოს, ისიც საშადლობელში საკოველთაო აღსარებად იტურდა
ხოლმე თავის ცოდეს და დასძენდა ბოლოს — „მომიტევეთო“.

დღესასწაულმა მშენებირად ჩინირა. სალაშომაც მოატანა
და, რა უკელას თავის ბინაში საქმე ჰქონდა, დავიშალენით.

შეზარხოშებულს მიმედინა. იღარ მასხოვს შემდეგ, რო-
გორ მოუარეს საქონელს — ფიროშ, შაქროშ და ზალიკოშ. მხო-
ლოდ დილით რომ გამომელვიდა, უკელაფერი თავის რიგზე იყო.

P. S. ასეთივე მხიარული იყო ახალწელიწადი. მხოლოდ
ის იყო განსხვავება, რომ დეკემბრის უკანასკნელი ღამე თო-
ფის სროლით გავაცილეთ და თოფის სროლითვე მივევებეთ
ახალ წელს. როდესაც ჩემი თოფის აღი გაარღვევედა ღამის
წყვდიაღს, რომელიმე მეზობელი მწყემსი დაიძახებდა: „ისესებმა
ისეთ ადგილის მოარტყა ძევლ წელიწადს, რომ ძელიად-და
გადარჩებათ.“ ეს მეგობრული გამუშრება სიცილს გამოიწვევ-
და ხოლმე და შაქროც დაუმატებდა: „ისე დაბეჯითებით დაუ-
მიზნებს ხოლმე, თითქმ ძევლი წელი ჩიტის ტოლაა და, თუ
კარგა არ დაუმიზნა, ვერ მოარტყამსო.“


ზალიკა კიდევ მუგუზალს ანიჩინებდა, რომლის ნაპერ-
წკლებზე ამბობდა: „ამდენი ცხვარი, ამდენი ძროხა და ამდე-
ნი მოკეთე მოგვცეს ღმერთმათ.“

მხიარულებაა მწყემსებში: ვიცინით, ვლაპარაკობთ, ვკით-
ხულობთ, ერთგულად უვლით საქონელს და არაფრად ვიმ-
ჩნევთ გაჭირებას.

ი. მჭედლიშვილი.

(შემდეგი იქნება)






POTTER

ონავარი ვანო

(უძლვინი ვანი ჩხეიძეს)



ასწავლებელი გრამატიკას უსნილა მესამე გან-
ყოფილების მოსწავლეებს.

ვანის გარდა ყველა გულმოლგინედ და
ყურმახვილად უსმენდა, თუმცა ღვთის წინაშე
ირც ერთს მათგანს ირ ახალისებდა ეს მოსა-
წყენი საგანი. უგდებდნენ ყურს იმიტომ, რომ ეშინოდათ სა-
ბედისწერო „ნურჩხელის“ მიღებისა.

ვანისაც სურდა გულის ყური მიეპყრო მასწავლებლისა-
თვის, მაგრამ დღეს როგორდაც ვერ ახერხებდა.



რაღა დღეს: ხე ხშირად ემართებოდა.

სიმაგრიულები

სწორედ მაშინ, როდესაც მასწავლებელი ძნელი სავნის ახსნას დაიწყებდა, შის თავში პეპელებსავით არეოდნენ კრელი ფიქრები: დაავიწყებდნენ კლასს, დაავიწყებდნენ მშობლების დარჩევა—ჩიჩინს, რომ ბეჯითად ესწავლა,—დაავიწყებდნენ ცუდაფერს და ოცნების ფრთებით გაიტაცებდნენ აზურმუხტებულ მდელო-ქალაქებისკენ, სადაც მისი აზრით დაბინავებული არიან ტურფა, ფირუზ-თვალებიანი ალები.

— ნეტავი ერთხელ მაინც მანახვა, მართლა ისეთი ლამაზები არიან ის ალები, თუ არა,—არა-ერთხელ გაუფიქრია ვანოს და მმ განზრიანებით ხშირადაც წაჰყოლია ბიძას ტყეში, მაგრამ მათი კვალისთვის ვერსად მიუგნია.

ისეთი ოცნებობის ბრალი იყო, რომ ვანო ხშირად ღებულობდა ცუდ ნიუნებს და იჯავრიანებდა ლარიბ მშობლებს, რომელნიც რის ვით-ვიგლახით ზრდილნენ მას სასწავლებელში.

ვანოს ახლაც თვალი მიეპყრო სარკმლისათვის, სიიდანაც ცელჭი ციმციმით შემოცემიალებდნენ კლასში ვაზა-ფხულის მზის სხივები და გრძნებული ხმებით იწვევდნენ გარედ სანკოდ, სანდერდოდ, სილალობოდ...

— შენი გულისა, შენი, კუდრაჭა მერცხლები რა კის-კისათ დანავარდობენო,—შენატრა მათ და მწირედ ამოიოხრა, რადგან იძულებული იყო მოელი საათი მჯდარიყო კლასში, სადაც მასწავლებელი უხსნიდა „შორის—დებულს“, „სახელ—სართს“ და კიდევ რაღაც ეშშაკებს.

— ვიშ, ვიშ, რა სპეციაქ, ყალანქარი ნისლები დასცურავენ ცაში!—წაიჩიურჩიულეს ვანოს ტუჩებმა და ახლა ნისლებს დაედევნა მოლიმარი ფიქრებით.

იo, ნისლები თეთრ, ბუტკუჩელა ბატკნებსავით გაიშალნენ ცის ფირუზ-ველზე... აგერ ისევ შეერთდნენ, შეიკუმ-



შენ და საყდარს დაემზგავსნენ. აგერ ჭალარით მომიტურებულები ეს გადაიქცენ... ინ, პატარა გოვო-ბიქებად შეიცვალნენ, ვანოს მიაპყრეს ხელები და დაუწყეს თვისკენ ძახილი... აგერ ის ნის-ლი იორლა ცხენად გადაიჭუა.

— ამ, არა მინდა რა, ახლა მაგ ცხენზე შემახტუნა, რო-ვორ გავაქროლებდი შორს... შორს ვარსკვლავებისაკენო, ანა-ტრა ვანომ და თან ხელები ისე მოიმარჯვა, თითქოს აღვიჩი სკეროდეს და ცხენს მათრახის გადაკვრას უპირებდეს.

— თქვენო ბრწყინვალებავ, გაიმეორეთ, რაც იგისსე-ნით,—დაცინებით მიმართა მასწავლებელმა ვანოს, რაკი შე-ნიშნა, რომ ის ყურს არ უგდებდა.

ვანო ისე იყო გართული სხივოსან ფიქრებში, რომ ეტრ გაეგონა მასწავლებლის მიმართვა. მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს და დაბრუნდა ოცნების ქეყნიდან აქ, ამ მოსაწყენ კლასში, როდესაც მშანებელი ლაშათიანი მუჯლუგუნი უჟიებაში.

— მომიყევი ახსნილი გაკვეთილი,—განუმეორა მასწავ-ლებელმა.

ვანო სახე-აწყრიიკებული წამოდგა; ხმა კი არ იმოუღია.

— რას უყურებდი გარედ?—არ ეშვებოდა ჯიუტი მას-წავლებელი.

— ნისლებს!—მიუგო დარცხვენით ვანომ და კვლავ შეავ-ლო თვალი ცას, თითქოს ის უკარნახებდა გაკვეთილს.

— ნისლებს!—გააჯავრა მასწავლებელმა და „ეურნალში“ მსუქენი „ერთიანი“ ჩაუწერა.

მოწაფეებშა კისკისი ასტეხეს.

როგორც იქნებოდა გადაიტანდა ვანო ამ მარცხს, გა-მოიგლოვდა ერთიანსა, მაგრამ დახეთ მუხთალ ბედის წერას,— მეოთხე გაკვეთილზე უარესი უბედურება დაატყდა თავს.

ამ დროს მასწავლებელი ქალი, სხვათა შორის, უკით-ხავდა უმაწვეილებს პატარ-პატარა მოთხრობებს და მათვე აამ-ბობინებდა ხოლმე.



ახლაც შემოიტანა „ნაკადული“ და დაუწეულებელი შეილის შშვენიერ მოთხოვბის კითხვა.

